**დანართი N1**
დამტკიცებულია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის
კორპორაციის“ დირექტორთა საბჭოს 2020 წლის
30 დეკემბრის N55 დადგენილებით

# სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“

# ეთიკისა და ქცევის კოდექსი

## პრეამბულა

სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ აცნობიერებს რა საკუთარ როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის ენერგეტიკული განვითარების პროცესში, წინამდებარე კოდექსით აღიარებს პატივისცემას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, საქართველოს კონსტიტუციის, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და ღირებულებების მიმართ.

## მუხლი 1. ეთიკისა და ქცევის კოდექსის მიზანი

1.1. ეთიკისა და ქცევის კოდექსის (შემდგომში: ,,კოდექსი“) მიზანია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (შემდგომში: „კორპორაცია“) თანამშრომლებში საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისადმი პატივისცემის განმტკიცება და სამსახურებრივი მოვალეობების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავება.

1.2. ,,კოდექსი“ განსაზღვრავს იმ ძირითად ღირებულებებს, ქცევის ნორმებს და ეთიკის პრინციპებს, რასაც პატივი უნდა სცეს ,,კორპორაციაში“ დასაქმებულმა თითოეულმა თანამშრომელმა და რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თითოეულმა მათგანმა ყოველდღიური თანამდებობრივი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას.

## მუხლი 2. ეთიკისა და ქცევის კოდექსის მოქმედების სფერო

2.1. ეს კოდექსი ვრცელდება „კორპორაციაში“ დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე განურჩევლად პოზიციისა.

## მუხლი 3. „კორპორაციის" ძირითადი პრინციპები და ღირებულებები

3.1. „კორპორაცია“ უზრუნველყოფს თანამშრომლების პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი კულტურული, ინტელექტუალური და ყოფითი გარემოს შექმნას.

3.2. „კორპორაციის“ ძირითადი ფასეულობები და ღირებულებებია:

ა) ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა;

ბ) დემოკრატიული პრინციპების პატივისცემა და დაცვა;

გ) თანასწორობა;

დ) პროფესიონალიზმი;

ე) სამართლიანობა/ობიექტურობა;

ვ) კეთილსინდისიერება;

ზ) საქმისადმი ერთგულება;

თ) გუნდური მუშაობა/ კოლეგიალობა.

## მუხლი 4. „კორპორაციის“ თანამშრომელთა ზოგადი ვალდებულებები

4.1. ,,კორპორაციაში დასაქმებულ ადამიანებს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ ისინი წარმოადგენენ „კორპორაციას“ მესამე პირებთან ურთიერთობისას.

4.2. სამუშაოს შესრულებისას, ,,კორპორაციის“ თანამშრომელი უნდა იცავდეს ჩაცმულობის საქმიან სტილს. დაუშვებელია, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, თანამდებობისთვის, სამუშაო გარემოსთვის შეუფერებული სამოსით გამოცხადება.

4.3. დაუშვებელია, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას თანამშრომელი იმყოფებოდეს ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების

ზემოქმედების ქვეშ. მცირე რაოდენობით ალკოჰოლური სასმელის მიღება დაშვებულია მხოლოდ ,,კორპორაციის" მიერ გამართული შიდა ღონისძიების დროს.

4.4. ,,კორპორაციის" თანამშრომლებმა უნდა დაიცვან ,,კორპორაციის" შინაგანაწესი და მათი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები, უნდა გაუფრთხილდნენ ,,კორპორაციის" ქონებას და კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება.

4.5. ,,კორპორაციის" თანამშრომელს არა აქვს უფლება გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოიყენოს სამსახურებრივი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

4.6. დაუშვებელია, კოლეგისთვის კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ კითხვების დასმა, თუ ეს არ არის საჭირო სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე.

4.7. ინტერესთა შეუთავსებლობად ჩაითვლება კორპორაციის თანამშრომლის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება „კორპორაციის" ინტერესებთან. ,,კორპორაციის" თანამშრომელი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედების განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ობიექტურად ეჭვქვეშ დააყენოს ან გავლენა იქონიოს დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების მიუკერძოებელ და ობიექტურ შესრულებაზე.

4.8. ,,კორპორაციის" თანამშრომლის ქცევა ,,კორპორაციაში" ან ,,კორპორაციის" გარეთ, არ უნდა ლახავდეს ,,კორპორაციის" იმიჯს და ნეგატიურ გავლენას არ უნდა ახდენდეს მუშაობის პროცესსა და შესასრულებელი/შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

**მუხლი 5. „კორპორაციის" თანამშრომელთა ძირითადი ვალდებულებები.**

5.1. „კორპორაციის" თანამშრომელი ვალდებულია, იმოქმედოს იმ სტანდარტებითა და პიროვნული ქცევის წესებით, რაც პასუხობს ,,კორპორაციის" აღიარებულ პრინციპებს, ღირებულებებსა და ტრადიციებს;

5.2. „კორპორაციის" თანამშრომელი ვალდებულია, პატივს სცემდეს და იცავდეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს, კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობას განურჩევლად რასის, ერის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, ოჯახური მდგომარეობისა, ასაკისა, შეზღუდული შესაძლებლობის, საზოგადოებრივი ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის პროფესიული კავშირისადმი კუთვნილებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

5.3. „კორპორაციის" თანამშრომელი პატივისცემით უნდა ექცეოდეს კოლეგებს და მათ საქმიანობას:

ა) ხელს უნდა უწყობდეს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავს უნდა არიდებდეს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

ბ) თავს უნდა იკავებდეს კოლეგის საქმიანობაში ჩარევისაგან;

გ) წინასწარ განზრახულად არ უნდა შეიყვანოს კოლეგა შეცდომაში;

დ) ტაქტიანად უნდა მიუთითებდეს კოლეგას, მის მიერ დაშვებულ შეცდომასა და ხარვეზებზე;

ე) დაუშვებელია კოლეგასთან ურთიერთობისას ხმამაღლა საუბარი ან შეუფერებელი სიტყვებისა და ჟარგონების გამოყენება;

ვ) მათთან ურთიერთობისას დაიცვას საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმები, თავი შეიკავოს სხვისთვის ზიანის მომტანი საქციელისგან და ხელი შეუწყოს კეთილგანწყობილი სამუშაო გარემოს შექმნას.

5.4. ,,კორპორაციის" თანამშრომელი ვალდებულია კეთილსინდისიერად და სრულყოფილად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და მთელი ძალისხმევა მიმართოს არსებული რესურსით მაქსიმალური შედეგის მისაღწევად. თანამშრომელი მუდმივად უნდა ისწრაფვოდეს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწისაკენ.

5.5. ,,კორპორაციის" თანამშრომელი ვალდებულია ემსახუროს „კორპორაციის" ინტერესებს, უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით გასცემდეს დასაბუთებულ ინფორმაციას და რჩევებს, კომპეტენციის ფარგლებში უნდა იღებდეს ობიექტურ გადაწყვეტილებებს, უნდა ზრუნავდეს მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომების დროულ გამოსწორებაზე, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას სრულად უნდა იყენებდეს „კორპორაციის" მიზნების მისაღწევად.

## მუხლი 6. კოდექსის დარღვევაზე რეაგირების წესი

6.1. „კორპორაციის" თანამშრომლების მიერ ამ კოდექსით განსაზღვრული ნორმების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას უზრუნველყოფს ,,კორპორაციის" კონტროლის დეპარტამენტი.

6.2. ,,კოდექსით" განსაზღვრული ნორმების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს ,,კორპორაციის" თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობა ,,კორპორაციის" შრომის შინაგანაწესით დადგენილი წესების შესაბამისად.